# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

*დაბა ჩოხატაური, აკაკი წერეთლის ქ. N2; Chokhatauri distict, Akaki Tsereteli st. N2; E-mail: chokhatauri.board@yahoo.com; contact@chokhatauri.ge;*


N 1503
12/08/2016

1503-05-4-201608121011

# მუნიციპალიტეტის გამგებლის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის**
**სტატუსის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილების, ,,მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებისა და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების/შეწყვეტის საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით მუნიციპალიტეტის გამგებელის სათათბირო ორგანოს საბჭოს სხდომის ოქმი N65RSX00007 (10.08.2016) საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. მიენიჭოს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსი მაღალმთიან დასახლებაში (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლები: ზოტი, ჩხაკაურა) რეგისტრირებულ 24 (ოცდაოთხი) პირს, თანდართული excel-ის ფაილის შესაბამისად.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე ჭავჭავაძის ქუჩა N 4.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

გამგებელი

ხელმძღვანელობა